

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

[Handwritten signature] ზურაბ ბუცხრიკიძე

„20“ 11 „ 2013 წელი

ეგზ. № 1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2010-2012 წლებში სოფლის
მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული პროექტების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №57/00

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის ძირითადი მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ	4
პროგრამით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
გამოვლენილი სისტემური ნაკლოვანებები	7
შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები	8
პროგრამის (მიზნობრიობის დაცულობის) ნაკლოვანებები.....	10
შენიშვნების რეაბილიტაცია	10
სარწყავი არხების მოწყობა	11
წყლის სისტემების რეაბილიტაცია	12
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	14
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	14
აუდიტის ჯგუფის წევრები	14

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია დასკვნის გაცემა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2010-2012 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაზე კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

ანგარიშში ასევე აისახა:

მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა;

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გაწეული საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ

საქართველოს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე მტიკცდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც თავისი არსით გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სახის საჭიროებების მოგვარებას და ამ საჭიროებათა მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას.

სოფლის პროგრამების მეშვეობით მუნიციპალიტეტში ხდება სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული საკითხების გადაწყვეტა, რაც ძირითადად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საქართველოს მთავრობის განკარგულების¹ მიხედვით პროგრამის ძირითადი მიზნებია

- ✓ პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვ.);
- ✓ თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- ✓ მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესება;
- ✓ თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის უფლებამოსილებათა ეფექტიანად განხორციელება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე მუნიციპალიტეტის თემის რწმუნებულების მიერ, სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობასთან ერთად ხდება სოფლის საჭიროებების განსაზღვრა და პრიორიტეტების დადგენა. სოფლის რწმუნებული აწყობს სოფლის საერთო კრებას. კრებაზე მოსახლეობა აფიქსირებს სოფლის საჭიროებებს, შემდეგ ხდება დასმული საჭიროებების შეფასება და შერჩევა. აღნიშნული საკითხები ფიქსირდება კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს მუნიციპალიტეტის თემის რწმუნებული და კრებაზე

¹ 2010 წლის 13 იანვრის N41 განკარგულება; 2011 წლის 31 იანვრის N201 განკარგულება; 2012 წლის 31 იანვრის N162 განკარგულება

დამსწრე პირები. მიღებულ გადაწყვეტილებებს სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხით შესასრულებელი პროექტების შესახებ თემის რწმუნებული უგზავნის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

ადგილობრივ ბიუჯეტში თანხის ჩარიცხვის შემდეგ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით² ხდება შესასრულებელ სამუშაოზე ხელშეკრულების გაფორმება. სამუშაოს შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური, თემის რწმუნებული და საინიციატივო ჯგუფი. სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ადგენს შესრულებული სამუშაოს აქტს (ფორმა N2). კომისიის მიერ ხდება შესრულებული სამუშაოების შეფასება, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის გამგებელი გამოსცემს აქტს შესრულებული სამუშაოს მიღების შესახებ.

პროგრამით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა

საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- შესყიდულ სამუშაოს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება და არ უნდა იყოს მიმართული მოკლევადიანი მოხმარებისათვის.
- სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.
- განსახორციელებელი პროგრამით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

2010-2012 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოეყო 2 748.2 მლ. ლარი³. გამოყოფილი თანხები საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად განაწილებულია მუნიციპალიტეტში შემავალ 47 სოფელზე (16 თემი) და გახარჯულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

² გამარტივებული შესყიდვით შეძენის უფლება ნებადართულია საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

³ 2010 წელი - 836.5 ათასი ლარი, 2011 წელი - 832.8 ათასი ლარი, 2012 წელი - 1078.9 მლ. ლარი.


2010-2012 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე გამოყოფილი და ათვისებული თანხა

პერიოდი	გამოყოფილი თანხა	ფაქტიური ხარჯი	ათვისებული თანხა	შენიშვნა
2010 წელი განკ.#41 12.01.10.	836452	836064	388	-
2011 წელი განკ.#201 31.01.11.	832874	829042	1079	2753 ლარი გადატანილია 2012 წლის პროგრამაში
2012 წელი განკ.#162 31.01.12.	1078894	1066111	621	12162 ლარი გადატანილია 2013 წლის პროგრამაში
სულ	2748220	2731217	2088	

2010-2012 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ათვისებული თანხა 2.1 ათასი ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამის პერიოდში დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

სასურველია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრების ხარჯვა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად და ათვისებული იქნას სრულად, განსაზღვრული მიზნობრიობის დაცვით.

2010-2012 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხა სამუშაოების მიხედვით



გამოვლენილი სისტემური ნაკლოვანებები

❖ *მოსახლეობის აქტივობა* - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2010-2011 წლებში, პრობლემური ინფრასტრუქტურული საკითხების (პრიორიტეტული საკითხების) დასადგენად გამართულ სოფლის კრებებზე, შედგენილი ოქმები რიგ შემთხვევაში ხელმოუწერელია კრებაზე დამსწრე მოსახლეობის მიერ ან ხელს აწერს მოსახლეობის მცირე ნაწილი, რაც მიანიშნებს განსახორციელებელ პროექტებში მოსახლეობის ნაკლებ ჩართულობაზე.

❖ *დაუსრულებელი პროექტები* - 2010-2011 წლებში პროგრამის ფარგლებში შესრულებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც არ არის დასრულებული და არ ფუნქციონირებენ, ხოლო 2012 წელს ამ ობიექტებზე, როგორც სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხებიდან, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებიდან სარემონტო სამუშაოები არ განახლებულა. სულ 2010-2011 წლებში დაუსრულებელ პროექტებზე გახარჯულია 27.5 ათასი ლარი.

❖ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების⁴ მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრას ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, ხოლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოს აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური დაგროვების დარიცხვის გარეშე. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 12 ივლისის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე შემსრულებლების მიერ წარმოდგენილია ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგრამ მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოები მიღებულია აღნიშნული ბრძანების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად.

❖ 2010-2012 წლებში მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში, პროგრამით შესრულებულ ერთგვაროვან სამუშაოებზე ხელშეკრულებები გაფორმებულია ერთ ან ორ შემსრულებელთან. ასეთ შემთხვევაში შემსრულებლის მიერ სამუშაოები შესრულებულია საკუთარი მუშახელით, რაც იწვევს პროგრამის მიზნობრიობის კრიტერიუმის დაუცველობას, კერძოდ: სამუშაოების შესრულებისას არ არის დასაქმებული შესაბამისი სოფლის მოსახლეობა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შესრულებული სამუშაოები - სარწყავი არხების მოწყობა, ღირებულებით - 186.3

⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N 1-1/1463 ბრძანება.

ათასი ლარი, სასაფლაოს და სკოლის ეზოს შემოღობვა, ღირებულებით - 297.2 ათასი ლარი (და სხვა მსგავსი სამუშაოები) არ საჭიროებს სპეციალურ ცოდნას და მიზანშეწონილია მსგავსი სამუშაოების შესრულებისას შერჩეული იქნენ შესაბამისი სოფლის მაცხოვრებლები, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხების სრულად მიმართვას მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები

2010-2012 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხების 34% (929.0 ათასი ლარი) დახარჯულია შიდა სასოფლო გზების შეკეთებაზე.

2012 წლის 13 ივლისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „წყალტუბო გზა სერვისს“ შორის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა N95 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 274.8 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 13 სოფელში გზების მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარებას.

შპს „წყალტუბო გზა სერვისის“ მიერ შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ფორმა N2-სა და ფაქტიურად გაწეული დანახარჯების დოკუმენტების ურთიერთშედარებით გამოვლინდა გამოყენებულ ინერტულ მასალებზე ფასთა სხვაობები, კერძოდ; გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს სოფლებში უნდა შეეტანა 109.5 ათასი ლარის ღირებულების 7655 მ³ ინერტული მასალა⁵, რაზეც საბოლოოდ მხარეებს შორის გაფორმებულია შესრულებული სამუშაოს (ფორმა N2) და მიღება-ჩაბარების აქტები, ხოლო ფაქტიურად გაწეული დანახარჯების დოკუმენტების მიხედვით შემსრულებელს სოფლებში შეტანილი აქვს სხვადასხვა დასახელების დაბალი ფასის და ხარისხის მქონე 7655 მ³ ინერტული მასალა, საერთო ღირებულებით 55.5 ათასი ლარი. მიუხედავად აღნიშნულისა მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია 109.5 ათასი ლარი, ანუ 54.0 ათასი ლარით მეტი.

შპს „წყალტუბო გზა სერვისის“ სამუშაოების შესრულებისას, მანქანა-მექანიზმების მომსახურებაზე (კონტრაქტით) გახარჯული აქვს 68.1 ათასი ლარი,

⁵ 4701 მ³ კვიშა-ხრეშოვანი ნარევი და 2954 მ³ ღორღი.

რაზეც შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით დარიცხულია და გამგეობის მიერ დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულია გეგმიური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯების თანხები, სულ **8.2 ათასი ლარი**⁶, რაც სავარაუდოდ წარმოადგენდეს მომწოდებლისათვის ზედმეტად გაცემულ თანხას.

შპს „წყალტუბო გზა სერვისის“ მიერ გამგეობისათვის წარდგენილი წერილობითი განმარტების შესაბამისად შრომით რესურსებზე (ხელფასი) გახარჯულია 55.8 ათასი ლარი, ხოლო შესრულებული სამუშაოს აქტებში (ფორმა N2) დაფიქსირებულია 5.6 ათასი ლარი. არსებული სხვაობის **50.2 ათასი ლარის** რეალობა ვერ დასტურდება ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, ვინაიდან წარმოდგენილი სახელფასო უწყისებში მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურების თანხა ნაჩვენებია მათ მიერ გამომუშავებული საერთო თანხით, რაც შედგება როგორც სოფლის პროგრამებით შესრულებულ სამუშაოებზე, ასევე სხვა პროექტებიდან გამომუშავებული ჯამური თანხებიდან.

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა შემსრულებელზე გასაცემი თანხა ანაზღაურებულია არა ფაქტობრივი დანახარჯების, არამედ წარმოდგენილი წერილობითი განაცხადის მიხედვით.

2012 წლის 13 ივლისს მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯ და ჯ“-ს შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია ხელშეკრულება, ღირებულებით 206.1 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის 21 სოფელში გზების მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარებას. ხელშეკრულების მიხედვით შემსრულებელს სოფლებში უნდა შეეტანა 7193 მ³ ინერტული მასალა (ღორღი და ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი) ღირებულებით 72.6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი, შესრულებული სამუშაოების აქტებისა და შესყიდვის დოკუმენტების მიხედვით, სოფლებში შეტანილია 7193 მ³ ინერტული მასალა, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტების ურთიერთშედარებით გამოვლენილია ფასთა სხვაობები, კერძოდ, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინერტული მასალებისა, სოფლებში შეტანილია დაბალი ფასის მქონე ინერტული მასალები, საერთო ღირებულებით 28.0 ათასი ლარი, შედეგად, შემსრულებლისათვის დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულია **44.6 ათასი ლარი**, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხას.

⁶ მანქანა-მექანიზმების მომსახურება 68161 ლარი* ზედნადები ხარჯები და გეგმიური დაგროვება 12%= 8179 ლარი.

ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით შპს „ჯ და ჯ“-ს მიერ გამოყენებულია იჯარით აღებული მანქანა-მექანიზმები, საერთო საიჯარო ღირებულებით 96.8 ათასი ლარი, რაზეც გამგეობის მიერ დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულია დარიცხული გეგმიური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები - **11.6 ათასი ლარი**⁷, რაც აგრეთვე სავარაუდოთ წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხას.

შრომითი რესურსებზე (ხელფასი) შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით გახარჯულია 5.4 ათასი ლარი, ხოლო გამგეობამ წერილობითი განაცხადის საფუძველზე, შემსრულებლის მიერ გაწეული ფაქტიური დანახარჯების გათვალისწინების გარეშე, აუნაზღაურა 35.1 ათასი ლარი. აღნიშნული განსხვავების 29.6 ათასი ლარის მართებულობა ვერ დასტურდება, ვინაიდან შემსრულებლის მიერ არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელფასის უწყისები).

პროგრამის (მიზნობრიობის დაცულობის) ნაკლოვანებები

- მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია იყო თუ არა დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნულ სამუშაოებზე, ხოლო გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული მსგავსი პირობა.

შენიშვნა: გზების მოხრეშვითი სამუშაოებზე, პროგრამის მიზნობრიობის სამი კრიტერიუმებიდან არ არის დაკმაყოფილებული ერთი.

შენობების რეაბილიტაცია

2010-2012 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 20 სოფელში შენობების რეაბილიტაციაზე გახარჯულია 359.2 ათასი ლარი, რაც სოფლის პროგრამით გათვალისწინებული მთლიანი ხარჯების 13%-ს შეადგენს. შენობების რეაბილიტაცია მოიცავს სოფლებში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების (საბავშვო ბაღები, კლუბები, სოფლის ადმინისტრაციის შენობა) სარემონტო სამუშაოებს. გაწეულ სამუშაოებზე შედგენილი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს, კერძოდ;

⁷ მანქანა-მექანიზმების მომსახურება 96766 ლარი * 12% = 11612 ლარი.

პროგრამის ფარგლებში 2010-2011 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთში შესრულდა სოფლის კლუბის შენობის ნაწილობრივი რემონტი, საერთო ღირებულებით - 27.5 ათასი ლარი⁸. მიუხედავად იმისა, რომ შენობის სარემონტო სამუშაოები არ არის ბოლომდე მიყვანილი და არ ფუნქციონირებს, 2012 წელს არც სოფლის პროგრამის ფარგლებში და არც ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით შენობის სარემონტო სამუშაოები არ განახლებულა.

2010 წელს სოფელ საყულიაში გარემონტდა ყოფილი ბაღის შენობა, ღირებულებით - 8.4 ათასი ლარი. აღნიშნული შენობა დასრულებულია მაგრამ არ ფუნქციონირებს. ხოლო 2011 წელს იმავე სოფელში საბავშვო ბაღის განსათავსებლად გარემონტდა სხვა შენობა (ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული), ღირებულებით 27.6 ათასი ლარი, რომელიც დასრულებულია მაგრამ საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს.

პროგრამის (მიზნობრიობის დაცულობის) ნაკლოვანებები

- პროგრამის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე არ იყო დასაქმებული შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.

- აღნიშნული გარემონტებული შენობებით ვერ სარგებლობს სოფლის მოსახლეობა.

შენიშვნა: შენობების რეაბილიტაციის სამუშაოებზე პროგრამის სამი კრიტერიუმიდან არ არის დაცული ორი.

სარწყავი არხების მოწყობა

2010-2012 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (14 სოფელი) სარწყავი არხების მოწყობაზე გახარჯულია 186.3 ათასი ლარი, რაც სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხის 7%-ს შეადგენს. აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია შპს „ფაზისი 2005“-ს მიერ. აღსანიშნავია, რომ სოფლებში სარწყავი არხების მოწყობას და მის მოვლა-პატრონობას ახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, ხოლო არხში გატარებული წყლის საფასურს იღებდნენ საქართველოს გარემოს დაცვის და

⁸ 2010 წელს - 22.1 ათასი ლარი, 2011 წელს - 5.4 ათასი ლარი.

ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტროსთან არსებული ადგილობრივი „სამელიორაციო მომსახურების სააგენტოები“.

პროგრამის (მიზნობრიობის დაცულობის) ნაკლოვანებები

- პროგრამის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე არ არის დასაქმებული შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია

2010-2012 წლებში სოფლის პროგრამების ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 23 სოფელში განხორციელებულია წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 151.7 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯის 5%-ს შეადგენს. სამუშაოები შესრულებულია შპს „ქუთაისწყალშენის“ მიერ. აღსანიშნავია, რომ წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ სოფელში, საერთო ღირებულებით - 27.8 ათასი ლარი, (ქვიტირი, ცხუნკური) დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებენ, რასაც წერილობითი განმარტებებით ადასტურებენ შესაბამისი სოფლის რწმუნებულები.

პროგრამის (მიზნობრიობის დაცულობის) ნაკლოვანებები

- წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა ჩართული იყო ნაწილობრივ.

- აღნიშნულ ორ სოფელში წყლის სისტემით ვერ სარგებლოს ადგილობრივი მოსახლეობა.

2010-2012წლებში სოფლის პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელებულია სხვადასხვა სახის სამუშაოები, კერძოდ:

სპორტული მოედნების მოწყობა

2010-2012 წლებში მუნიციპალიტეტის 20 სოფელში მოწყობილია სპორტული მოედნები, საერთო ღირებულებით 301.4 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები მოიცავს სპორტული მოედნების მშენებლობას, გარემონტებას, არსებულის შემოღობვას და ა.შ.

სასაფლაოების და სკოლის ეზოების შემოღობვა

სასაფლაოების და სკოლის ეზოების შემოღობვაზე 2010-2012 წლებში გახარჯულია - 297.2 ათასი ლარი, რაც პროგრამის ფარგლებში გაწეული მთლიანი ხარჯების 11%-ს შეადგენს.

პოლიეთილენის მილების შეძენა

პოლიეთილენის მილების შეძენაზე გახარჯულია - 212.2 ათასი ლარი (8%). აღნიშნული მილები შეძენილია შპს „პოლიმერკონტეინერისაგან“ და სოფლის რწმუნებულების მეშვეობით გადაცემულია შესაბამისი სოფლების მოსახლეობისათვის, რომლებსაც მოსახლეობა თავიანთი ძალებით ამონტაჟებს და ასრულებს წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. შესრულებულ სამუშაოებს იბარებს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია.

სხვა სამუშაოები

გარდა ზემოთაღნიშნული სამუშაოებისა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში 2010-2012 წლებში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები, კერძოდ; გარე განათების სამუშაოები 9 სოფელში - 125.2 ათასი ლარი, ხიდეები და ბოგიერების სარემონტო სამუშაოები 5 სოფელში - 34.3 ათასი ლარი, სკვერების კეთილმოწყობა 4 სოფელში - 33.8 ათასი ლარი, სხვა მცირე სამუშაოები (სარიტუალო მომსახურების ინვენტარის, წყლის ავზი, სატელევიზიო ანძა და ა.შ.) – 100.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით 2010-2012 წლებში სოფლის მხარდჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის კრიტერიუმების დაცულობა

- შესყიდულ სამუშაოებს რიგ შემთხვევაში (დაუსრულებელი წყლის სისტემები, არაფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები, გზების მოხრეშვითი სამუშაოების ნაწილი) არა აქვს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება.
- შესრულებული სამუშაოების უმრავლესობაზე არ არის დასაქმებული ადგილობრივი (შესაბამისი) სოფლის მოსახლეობა.
- მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფლებში შესრულებული სამუშაოებით ვერ სარგებლობს სოფლის მოსახლეობა, ვინაიდან მათი ნაწილი დაუსრულებელია ან დასრულებულია მაგრამ არ ფუნქციონირებს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2010-2012 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის არცერთი კრიტერიუმები არ არის დაცული სრულად.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2010-2012 წლების სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შესრულებული სამუშაოები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით განხორციელებულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დაგეგნილებების მიხედვით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი


საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები

უფროსი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა

ხელმოწერა

 თარიღი 19.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

შალვა ბუცხრიკიძე

ხელმოწერა

 თარიღი 19.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ზურაბ ტუსკაძე

ხელმოწერა

 თარიღი 19.11.2013